# დანართი 1. საპროექტო წინადადებების სრული განაცხადის ფორმა

1. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| საპროექტო წინადადების სახელწოდება | *შემოთავაზებული საპროექტო წინადადების მოკლე სახელწოდება, მის შინაარსზე მითითებით:*<br>**ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბიზნესის განვითარებისა და ტურიზმის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა** |
| სრიგპ-თან შესაბამისობა | *გთხოვთ, მიუთითოთ სრიგპ-ს პრიორიტეტის და ღონისძიების (ქვე-ღონისძიების) დასახელება და ნომერი, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილია თქვენი პროექტი :*<br>**პრიორიტეტი 4. ინტეგრირებულიადგილობრივიგანვითარება**<br>**ღონისძიება 4.2 ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა** |
| საპროექტო წინადადების წარმდგენი | *გთხოვთ, მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენი:*<br>**ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია** |
| | *ერთობლივი პროექტების შემთხვევაში, მიუთითეთ ძირითადი და პარტნიორი მუნიციპალიტეტ(ებ)ი: წარმოდგენილ პროექტში მუნიციპალიტეტს პარტნიორი არ ყავს* |
| | *გთხოვთ მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენის მისამართი:*<br>**ქ.ბაღდათი, წერეთლის ქუჩა N 9** |
| | *გთხოვთ მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენის ელ.ფოსტა:*<br>**Bagdati.municipality@gmail.com** |
| პროექტზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია | *სახელი და გვარი:* **არჩილ გოგსაძე** |
| | *თანამდებობა:* **ბღდათის მუნიციპალიტეტის მერი** |
| | *ტელეფონის ნომერი:***599989300** |
| | *ელ.ფოსტა:**archil.gogsadze@baghdati.gov.ge; archilgogsadze@gmail.com*** |
| განხორციელების ადგილი | *რეგიონი:**იმერეთი*** |
| | *მუნიციპალიტეტი:**ბაღდათი*** |
| | *ქალაქი, დაბა, სოფელი:სოფელი **ვარციხე*** |
| სამიზნე ჯგუფი/ ბენეფიციარები | *გთხოვთ განსაზღვრეთ პროექტის სამიზნე ჯგუფი/საბოლოო ბენეფიციარები (*სამიზნე ჯგუფები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც იქნებიან პროექტის მყისიერი შედეგის პირდაპირი მიმღებნი. პროექტის სამიზნე ჯგუფების ჩამოთვლისას, გთხოვთ მიუთითოთ რაოდენობრივი მახასიათებლები).<br><br>***პროექტის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენს:***<br>***მუნიციპალიტეტში მოქმედი ბიზნეს სექტორი, მათ შორის : 50-მდე ღვინის მცირე და 3 საშუალო მარანი, 40-მდე მეფუტკრე,30-ზე მეტი იმერული ყველის და სულგუნის მწარმოებელი, 20-ამდე საოჯახო სასტუმრო,20-25 თიხის ჭურჭლის და ხელნაკეთი ნივთების მწარმოებელი***<br>***- მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის ექსპორტით დაინტერესებული პირები 10-მდე პირი..***<br>***-მუნიციპალიტეტში შემოსული ტურისტები და ვიზიტორები, ჯამურად 100-120 ათასი პირი( კურორტ საირმეში არსებული სასტუმროების და მუნიციპალიტეტის საოჯახო სასტუმროების მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით)***<br>***- მუნიციპალიტეტში ბიზნეს საქმიანობით დაინტერესებული ეკონომიკურად მოწყვლადი ჯგუფები: ქალები შშმ პირები - 20-30 პირი***<br>***-დამამთავრებელი კლასების ის მოსწავლეები, რომლებიც არ აგრძელებენ სწავლას შემდეგ საფეხურზე და რჩებიან საცხოვრებლად მუნიციპალიტეტში- მოხდება მათი სამეწარმეო უნარების განვითარება, გადამზადება გიდებად, ხელნაკეთი ნივთების მწარმოებლებად და სხვადასხვა პროფესიული მიმართულებით, სულ 100-120 პირი ( რესურსცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით)***<br>***- მოსაზღვრე მუნიციპალიტეტებიდან (ვანი, თერჯოლა, ზესტაფონი) პროდუქციის მწარმოებლები და ექსპორტიორები, სტარტაპერები- 200 პირი***<br>***-სოფელ ვარციხის და მიმდებარე თემებში მცხოვრები მოსახლეობა- 4000 პირი,***<br>***-სოფელ ვარციხეში და მიმდებარე თემებში არსებული სავაჭრო და მომსახურების ობიექტები-100-150 მეწარმე.***<br>***პროექტის სამიზნე გუფები ჯამურად შეადგენს 150-200 ათასი პირს*** |
| პროექტის მთლიანი ბიუჯეტი | *გთხოვთ, მიუთითოთ განსახორციელებლად შემოთავაზებული პროექტის სავარაუდო ღირებულება: **993993,77**ლარი* |

| | |
|---|---|
| **თანადაფინანსების ოდენობა** | *გთხოვთ, მიუთითეთ პროექტის ღირებულების საკუთარი რესურსებიდან თანადაფინანსების პროცენტული მაჩვენებელი* (თანადაფინანსება აღნიშნულ კონკურსში არ არის სავალდებულო, თუმცა განმცხადებლისა და თანაგანმცხადებლების მხრიდან ფინანსური კონტრიბუციის შემთხვევაში პროექტი მიიღებს დამატებით ქულებს, ტექნიკური ქულების მინიჭების ფორმის შესაბამისად.<br><br>საკუთარი რესურსები არის ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობების სახით მიღებული ფინანსური სახსრები, როგორც ეს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 66-ე მუხლის 1-ლი ნაწილითაა განსაზღვრული).**პროექტის თანადაფინანსება მოხდება ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთარი რესურსებიდან, პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 2,4 % -ით. პროექტის თანადაფინანსებას ბაღდათის მუნიციპალიტეტი მოახდენს ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ექსპლოატაციის პროგრამულ 020701 კოდზე არსებული საკუთარი სახსრებიდან.** |
| **პროექტის განხორციელების დრო** | *გთხოვთ, მიუთითეთ პროექტის განხორციელების დრო (თვეების რაოდენობა):*:**5,5 თვე** |
| | *გთხოვთ მიუთითეთ განხორციელების დაწყების დაგეგმილი თარიღი (სამუშაოების ან მომსახურებების შესახებ კონტრაქტის ხელმოწერიდან):* **პროექტის განხორციელება დაიწყება დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში** |
| | *გთხოვთ მიუთითეთ განხორციელების დასრულების დაგეგმილი თარიღი (მიღება-ჩაბარების აქტი): 31/**12/2020*** |

**2. პროექტის აღწერა და დასაბუთება**

| | |
|---|---|
| **პროექტის მიზანი/მიზნებია** | *გთხოვთ, ჩამოთვალოთ პროექტის მიზნები. მიუთითეთ სრიგპ-ს შესაბამის ღონისძიებისა და გამოცხადებული კონკურსის მიზნებთან შესაბამისობა* (სრიგპ-ის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებს უნდა ჰქონდეს 2 ტიპის მიზნები:<br><br>ა) სტრატეგიული მიზნები - ესაა პროექტის დაგეგმილი კონტრიბუცია სრიგპ-ის პრიორიტეტების განხორციელებაში, ისევე როგორც პროექტის შესაძლო წვლილი მუნიციპალურ/რეგიონულ დონეზე არსებული შესაბამის დოკუმენტებში (მაგ. მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის დოკუმენტი, რეგიონის განვითარების სტრატეგია, ა.შ.) მოცემული პრიორიტეტების მიღწევაში;<br><br>ბ) კონკრეტული მიზანი - პროექტის მიერ („პროექტის აღწერა/დასაბუთების“ ველში) იდენტიფიცირებული კონკრეტული პრობლემის გადაჭრისთვის აუცილებელი პირობის მიღწევის განაცხადი. კონკრეტული მიზანი მიიღწევა პროექტის პროდუქტებისა და მყისიერი შედეგების მეშვეობით.<br><br>რეკომენდებულია ლოგიკური ჩარჩოს გამოყენება პროექტის სტრატეგიული და კონკრეტული მიზნების, მათი შედეგების, ინდიკატორების და ვარაუდების/რისკების სწორი და ეფექტური ფორმულირებისთვის)<br><br>*პროექტის სტრატეგიულიმიზნები:*<br>1. **მუნიციპალიტეტის და რეგიონის მიმზიდველობის ზრდა;**<br>2. **ბიზნეს გარემოს განვითარება და ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციის გაუმჯობესება**<br>3. **დასაქმების გაუმჯობესება, სამუშაო ადგილების ზრდა**<br><br>**პროექტის კონკრეტული მიზნები:**<br>1. **მუნიციპალიტეტში ბიზნეს ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის (შენობის) მოწყობა**<br>2. **ახალი და არსებული ბიზნესის სტიმულირება საწარმოო ფართებზე ხელმისაწვდომობის ზრდით**<br>3. **მუნიციპალიტეტის ახალი სერვისის - ტურისტული საინფორმაციო მომსახურების მიწოდება** |

| | |
|---|---|
| მოსალოდნელი შედეგები | *გთხოვთ, დაასახელოთ მოსალოდნელი შედეგები (მაქსიმუმ 2-3 შედეგი), რომელსაც პროექტის განხორციელება მოუტანს მოსახლეობას, ეკონომიკას ან მუნიციპალიტეტს. ასევე, მიუთითეთ კავშირი სრიგპ-ის შესაბამის ღონისძიების/ქვე-ღონისძიების შედეგებზე ან კონკურსის პირობებით განსაზღვრულ შედეგებზე, იმ შემთხვევაში, თუ ისინი განსაზღვრულია.*<br>(წარმოდგენილი უნდა იყოს ორი ტიპის შედეგი:<br><br>ა) გრძელვადიანი შედეგები (საბოლოო შედეგები) - ცვლილება, რომელიც პროექტს მოაქვს სამიზნე ჯგუფებისთვის მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის სახით პროექტის დასასრულს და ამ ცვლილებას აქვს პოტენციალი, განჭვრეტად მომავალში დადებითი გავლენა იქონიოს საზოგადოებაზე.<br><br>ბ) მყისიერი შედეგები- განხორციელების პროცესში ან პროექტის ბოლოს მიღებული პროდუქტი/ინფრასტრუქტურა/ცოდნა, რომელიც ემსახურება გრძელვადიანი შედეგების მიღწევას.<br><br>შედეგები უნდა იყოს კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, შესაბამისი, დროში განსაზღვრული. რეკომენდებულია ლოგიკური ჩარჩოს გამოყენება პროექტის შედეგების სწორად ფორმულირებისთვის).<br><br>*გრძელვადიანი შედეგები:*<br><br>• გაზრდილი რეგიონის და მუნიციპალიტეტის ცნობადობა და ტურისტული და საინვესტიციო მიმზიდველობა,ტურისტების და ვიზიტორების გაზრდილი ოდენობა და გაუმჯობესებული ტურისტული მომსახურების ხარისხი<br>• გაუმჯობესებული დასაქმების შესაძლებლობები და გაზრდილი სამუშაო ადგილები<br>• ადგილობრივი პროდუქციის, მომსახურების გაყიდვების გაზრდილი ოდენობა და ბიზნეს სექტორში გაზრდილი შემოსავლები<br>• გაუმჯობესებული სექტორთა შორისი თანამშრომლობა და<br>პარტნიორული ქსელი<br><br>*მყისიერი შედეგი:*<br><br>• შექმნილი ბიზნეს განვითარების და ტურიზმის ხელშმწყობი ცენტრი;<br>• ახალი ბიზნესის წარმოების და განვითარების გაზრდილი შესაძლებლობები - შექმნილი ახალი საწარმოო ფართები,შემუშავებული ახალი და არსებული ბიზნესის სტიმულირების პროგრამა<br>• შექმნილი ტურიზმის საინფორმაციო მომსახურების ცენტრი<br>• შექნილი ახალი სამუშაო ადგლები და გაზრდილი დასაქმება |
| პროექტის აღწერა / დასაბუთება | *გთხოვთ, წარმოადგინოთ პროექტის მოკლე აღწერილობა, მის სოციალურ-ეკონომიკურ როლზე და მის მიერ ადგილობრივ და რეგიონულ მასშტაბითზეგავლენაზე აქცენტის გაკეთებით.*<br>*გთხოვთ, დაასაბუთოთ რატომ უნდა განხორციელდეს ეს პროექტი.*<br>*დაასახელეთ ის პრობლემები, რომელთა მოგვარებასაც ემსახურება პროექტის განხორციელება, პოტენციალი, რომელიც შეიძლება განვითარდეს პროექტის განხორციელებით. ასევე, მიუთითეთ შესაბამისი რეგიონის განვითარების სტრატეგიასთან, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმასთან, სხვა შესაბამის სტრატეგიულ დოკუმენტებთან ან/და სრიგპ-ში მოცემულ ღონისძიებებთან კავშირი:*<br>პროექტი გულისხმობს, ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარციხეში, ქუთაისი-ბაღათი-აბასთუმანი-ბენარას შიდასახელმწიფოებრივი მაგისტრალის მიმდებარედ, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ ქონებაზე (ს. კ. 30.03.31.223) ბიზნეს განვითარების და ტურიზმის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობას. პროექტის ფარგლებში რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია ჩაუტარდება ორ სართულიან ნახევრად კარკასულ აგურის შენობას (ჯამურად 1440 კვ. მეტრზე, 720 კვადრატი მოშენების ფართით).<br>პროექტის განხორციელებით იმერეთში შეიქმნება ინტეგრირებული სივრცე რეგიონში ბიზნესის განვითარებისთვის და ტურიზმის სფეროს ხელშეწყობისთვის, რასაც განაპირობებს შერჩეული ქონების მდებარეობის სტრატეგიულობა და ხელმისაწვდომობა. კერძოდ ის მდებარეობს რეგიონის ცენტრიდან 10 კმ-ში, უახლოესი რკინიგზის სადგურიდან 4 კილომეტრში, უახლოესი |

| | |
|---|---|
| | აეროპორტიდან 24 კმ-ში, ავტობანიდან 2,5 კმ-ში. პროექტით ისარგებლებენ როგორც ბაღდათის მუნიციპალიტეტის, ასევე ვანის, თერჯოლის, ზესტაფონის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებიდან დაინტერესებულ მწარმოებლები და ამავე ტერიტორიების მონახულებით დაინტერესებული ვიზიტორები და ტურისტები.<br><br>პროექტის განხორციელება უზრუნველყოფს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისთვის ისეთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრას, როგორიცაა საწარმოო ფართებზე ნაკლებად ხელმისაწვდომობა, ტურიზმის საინფორმაციო მომსახურების სერვისის არ არსებობა, კერძო სექტორისთვის შეხვედრების სივრცის ნაკლებად ხელმისაწვდომობა.<br>მუნიციპალიტეტის ეკონომიკური ზრდის ისეთი იმედისმომცემი სექტორებიდან, როგორიცაა მეღვინეობა, მეფუტკრეობა და ყველის წარმოება, მოთხოვნა და საჭიროება საწარმოო-საოფისე სივრცეებზე, ადგილობრივი პროდუქციის (ღვინის, თაფლის, ყველის) საგამოფენო-სარეალიზაციო სივრცეებზე, კერძო სექტორისთვის შეხვედრების ადგილზე საკმაოდ დიდია, ბიზნეს გარემოს აუარესებს კერძო სექტორში საწარმოო ფართების სიმცირე და იჯარის მაღალი ფასები, ხშირია ბიზნეს საქმიანობის დაწყების ფაქტები, თუმცა იჯარის გადასახადების სიდიდე მკვეთრად ცდება შემოსულობებს, რაც საქმიანობის შეჩერების/ შეწყვეტის საფუძველი ხდება.<br>საკონფერენციო სივრცის, შეხვედრების ადგილის არ არსებობა შემაფერხებელი გარემოებაა სექტორთა შორისი თანამშრომლობისა და ბიზნეს უნარების გაუმჯობესებისთვის.<br>ადგილობრივი ეკონომიკური ზრდის და დასაქმების ახალი შესაძლებლობების გაჩენისთვის მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ტურიზმის მომსახურების სერვისის არ არსებობა, რაც თავის მხრივ იწვევს მუნიციპალიტეტში ტურისტული ნაკადების მოუწესრიგებელ, ქაოტურ გადაადგილებას, აფერხებს: მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტებით დაინტერესებას, ტურისტული ობიექტების შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას, კერძო სექტორში ტურისტული სერვისების განვითარების შესაძლებლობას, ტურისტულ სექტორში დასაქმების ზრდას.<br>პროექტის განხორციელებით მოწყობილ შენობაში განთავსდება ტურიზმის მომსახურების საინფორმაციო ცენტრი, სადეგუსტაციო და საგამოფენო სივრცეები ადგილობრივი წარმოებული პროდუქციისთვის, ადგილობრივი რეწვის შენარჩუნების და პოპულარიზაციისთვის მასტერკლასების სივრცე, შეხვედრების სივრცეები, შენობის ორივე სართულზე განლაგდება საოფისე და საწარმოო ფართები - ახალი და არსებული ბიზნესების სტიმულირებისთვის, ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობისას მუნიციპალიტეტში შემუშავდება ახალი და არსებული ბიზნესის სტიმულირების პროგრამა, გამოცხადდება კონკურსი შექმნილი საწარმოო ფართების უსასყიდლო სარგებლობის ფორმით კერძო სექტორისთვის გადასაცემად.<br>15 ერთეულზე მეტი საწარმოო ფართი უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაეცემათ 2 წლის ვადით და შემდეგი 3 წლის ვადით შეღავათიანი პირობით სტარტაპერებს და იმ საწარმოებს, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ხელს შეუწყობენ ადგილობრივი წარმოების პოპულარიზაციას, გასაღების ბაზრების მოძიებას, ადგილობრივი ხელნაკეთი ნივთების რეალიზაციას, ადგილობრივი მწარმოებლებისთვის ბიზნეს სერვისების შეთავაზებას, ელექტრნულ კომერციას, პრიორიტეტული და მხარდაჭერილი იქნება ელექტრონული გაყიდვები ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაციის ხელშემწყობისთვის, ლოჯისტიკური სივრცეების მოწყობა და სხვა საქმიანობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ პროექტის მიზნების განხორციელებას.<br>პროექტის განხორციელებით შექმნილი ტურისტული მომსახურების ცენტრი გაზრდის რეგიონის და მუნიციპალიტეტის ცნობადობას, ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ტურისტული ნაკადების მოწესრიგებულ გადაადგილება, შეიქმნება კერძო სექტორში ტურისტული მომსახურების ახალი სერვისები, გაჩნდება დასაქმემების ახალი შესაძლებლობები გიდების და სხვადასხვა ტურისტული სერვისების მიწოდებისთვის. გაიზრდება ადგილობრივი რეწვით და ხელნაკეთი ნივთების წარმოებით დაინტერესება.<br><br>საწარმომ ფართებზე ხელმისაწვდომობა და ახალი და არსებული ბიზნესის სტიმულირების პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ახალი ბიზნეს ობიექტების გაჩენას, ელექტრონული გაყიდვების პლატფორმის შექმნას, ადგილობრივი წარმოებული პროდუქციის ექსპორტის ზრდას, გაიზრდება ადგილობრივი წარმოებული პროდუქციის გაყიდვების ოდენობა, გაუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას წარმოების და რეალიზაციის სფეროში, გაიზრდება ხელნაკეთი და ადგილობრივი რეწვის პროდუქციის გაყიდვების ოდენობა, ადგილობრივი ხელნაკეთი ნივთების წარმოებით და ადგილობრივი რეწვით დაინტერესება . ..<br><br>პროექტის განხორციელებით შექმნილი შეხვედრების სივრცე ხელს შეუწყობს სექტორთა შორისი თანამშრომლობის გაუმჯობესებას, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ბიზნეს საქმიანობაში ჩართვით დაინტერესებულ პირთა უნარების გაუმჯობესებას, არსებული ბიზნესების წარმოების შესაძლებლობების განვითარებას,<br>შენობის რეაბილიტაციით გაუმჯობესდება ტერიტორიას იერსახე, გაიზრდება მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სავაჭრო და მომსახურების ობიექტების შემოსავლები, გაჩნდება |

| | |
|---|---|
| | ტურისტული მომსახურების ახალი ობიექტები, საოჯახო სასტუმროები, გაიზრდება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა.<br><br>პროექტის განხორციელება შესაბამისობაშია რეგიონის განვითარების სტრატეგიასთან და პირდაპირ ემსახურება მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმით გაწერილი ქმედების: 1,1 „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის შექმნა“ და 3.3 „სტარეტაპერებისა და არსებული ბიზნესის ხელშეწყობა ახალი საწარმოო - საოფისე ფართების ხელმისაწვდომობის ზრდით“ განხორციელებას.<br>პროექტის განხორცილება პირდაპირ ემსახურება სრიგპ-ის 4,2 ღონისძიების განხორციელებას ამასთან, პროექტის მყისიერი შედეგებით ხელი შეწყობა სრიგპ-ის 4.1 და 4.3 ღონისძიებების განხორციელებას. |
| ძირითადი აქტივობები | *გთხოვთ, ჩამოთვალოთ ის ძირითადი აქტივობები, რომლებიც აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად და ის სამუშაოები ან მომსახურებები, რომლებიც პროექტის ფარგლებში უნდა დაფინანსდეს: (*აღნიშნულ ველში მითითებული ყველა აქტივობა ასახული უნდა იყოს დანართი 2 – „აქტივობების ბიუჯეტი და დროის განრიგი“-ში)<br><br>პროეტის ძირითად აქტივობას წარმოადენს:<br>1. *სატენდეროკომისის შეკრება, სატენდერო წინადადების შემუშავება*<br>2. *ბიზნეს განვითარების და ტურიზმის ხელშემწყობი ცენტრის პროექტის განხორციელებაზე შესყიდვის გამოცხადება*<br>3. *გამარჯვებულის გამოვლენადა ხელშეკრულების გაფორმება*<br>4. *ბიზნეს განვითარების და ტურიზმის მომსახურების ცენტრის პროექტით განსაზღვრული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულება და მონიტორინგი;*<br>5. *ახალი და არსებული ბიზნესის სტიმულირების მუნიციპალური პროგრამის შემუშავება - დამტკიცება*<br>6. *ა(ა)იპის დაფუძნება, თანამშრომელთა შერჩევა.*<br>7. *საწარმოო ფართების ხელმისაწვდომობისთვის კონკურსის გამოცხადება და გამარჯვებულის გამოვლენა,*<br>8. *ინფრასტრუქტურული სამუშაოების საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა შემსრულებლის მიერ*<br>9. *ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება,*<br>10. *ანგარიშის მომზადებაპროეტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების და მიღწეული შედეგების შესახებ*<br>11. *რეაბილიტირებული სივრცის საჯარო პრეზენტაცია* |
| ინდიკატორები და მიზნები | *გთხოვთ, განსაზღვროთ ზუსტი ინდიკატორები და მათი შესაბამისი სამიზნეები, იმ ინდიკატორებზე და სამიზნეებზე მითითებით, რომლებიც გამოყენებულია სრიგპ-ს შესაბამისი ღონისძიების ფარგლებში:*<br>• **დასაქმების შესაძლებლობების ზრდა**<br>• **აქტიური ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის ზრდა** |
| | *საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი: (*ველი უნდა მოიცავდეს საბოლოო შედეგის ინდიკატორებს, რომელიც მიმართული იქნება პროექტის საბოლოო შედეგებზე და უნდა ზომავდეს მათ შესაბამისობას სრიგპ-ის მიზნებთან და პრიორიტეტებთან. აგრეთვე, აღნიშნული ინდიკატორები უნდა ადასტურებდეს პროექტის წარმატებას დაგეგმილი შედეგების მიღწევაში ნათლად ჩამოყალიბებული სამიზნე ნიშნულების გამოყენებით, რომლებიც, როგორც წესი, მოცემულია პროცენტული მაჩვენებლის ან აბსოლუტური რიცხვების სახით)<br>• ტურისტების და ვიზიტორების ოდენობა გაზრდილია 5 %-ით. 2021 წლისთვის 2019 წელთან შეფარდებით<br>• ადგილობრივი ბიზნესის შემოსავლები გაზრდილია 5 %ით 2021 წლისთვის<br>• ტურიზმის სექტორის მომსახურების ხარისხი გაზრდილია 10 %-ით<br>• ახალი სამუშაო ადგილები გაზრდილია მინიმუმ 20 ერთეულით<br>• ადგილობრივი წარმოებული პროდუქციის გაყიდვები გაზრდილია 10 %-ით<br>• შექმნილია ბიზნეს სტიმულირების ეფექტური მექანიზმი-ბიზნეს სტიმულირების 1 პროგრამა<br>• ბიზნესის უნარები გაუმჯობესებული აქვს 300 პირს<br>• გაუმჯობესებულია სექტორთა შორის თანამშრომლობა, გაზრდილია პარტნიორული ქსელი, გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები განხორციელებულიპარტნიორული პროექტების ოდენობა |
| | *მყისიერი შედეგის ინდიკატორ(ებ)ი: (*ველი უნდა მოიცავდეს მყისიერი შედეგის ინდიკატორებს, რომელიც მიმართული იქნება პროექტის ხელშესახებ პროდუქტებზე |

| | |
|---|---|
| | (მყარი ინფრასტრუქტურა კილომეტრებში/ერთეულებში, სახელმძღვანელო, სასწავლო სესია, გადამზადებულ ადამიანთა რიცხვი, სამუშაო შეხვედრათა რაოდენობა, ახალი ბიზნესი, და ა.შ.) და უპასუხებს პროექტის კონკრეტულ მიზანს. აღნიშნული ინდიკატორი ადასტურებს პროექტის პროდუქტის შესაბამისობას მის დაგეგმილ რაოდენობასა და ხარისხთან)<br><br>• რეაბილიტირებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა- ჯამურად 1440 კვ ფართით .<br>• საწარმოო ფართებზე ხელმისაწვდომობა გაზრდილია მინიმუმ 10-ერთეულით<br>• სტიმულირებული<br>• შექმნილია შეხვედრების სივრცე(საკონფერენციო) არანაკლებ 20 პერსონაზე<br>• დასაქმებულთა რაოდენობა გაზრდილია მინმუმ 5 ერთეულით<br>• შექმნილია ტურიზმის მომსახურების ცენტრი, მუნიციპალური სერვისების ოდენობა გაზრდილია ერთი ერთეულით |
| სხვა პროექტებთან ურთიერთშეთავსებადობა | *გთხოვთ, მიუთითოთ ეს პროექტი წარმოადგენს თუ არა სხვა წყაროებიდან დაფინანსებული პროექტების გაგრძელებას/გაფართოებას.*<br><br>*გთხოვთ, აღწეროთ არის თუ არა ეს პროექტი ინტეგრირებული ხასიათის - ანუ ის დაკავშირებულია თუ არა სხვა განხორციელებულ, მიმდინარე ან დაგეგმილ პროექტებთან, ასევე არის თუ არა უფრო ფართო გეგმის (მაგალითად, რეგენერაციის გეგმის, სატრანსპორტო გეგმის, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის და ა.შ.) განხორციელების ნაწილი. ასეთ შემთხვევაში, გთხოვთ წარმოადგინოთ ინფორმაცია განხორციელების წყაროს, ღირებულებისა და დროის შესახებ:*<br><br>***პროექტის განხორციელებით იმერეთის რეგიონში შეიქმნება ახალი ინტეგრირებული სივრცე, ეს იქნება ფაქტობრივად ახალი ბიზნეს ხელშმწყობი ინფრასტრუქტურა რეგიონში შერჩეული ქონების მდებარეობის სტრატეგიულობიდან და ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, რომელიც მომსახურება როგორც ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ მწარმოებლებს , შემოსულ ვიზიტორებს და ტურისტებს, ასევე პროექტით სარგებლობის შესაძლებლობა ექნებათ ვანის, თერჯოლის, ზესტაფონის და წტყალტუბოს მუნიციპალიტეტებიდან დაინტერესებულ მწარმოებლებს.***<br>***პროექტი პირდაპირ ეხმიანება ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 დეკემბრისN 4273 განკარგულებით მიღებულ ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის ორ მიზანს : „ მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება“ და“სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება“.*** პროექტის განხორციელება *ემსახურება ამავე სტრატეგიული დოკუმენტის სამოქმედო გეგმით გაწერილი ორი ქმედების* „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის შექმნა“ და „სტარეტაპერებისა და არსებული ბიზნესის ხელშეწყობა ახალი საწარმოო ფართების ხელმისაწვდომობის ზრდით<br>პროექტის განხორციელების შემდგომ მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით, სექტორთა შორის თანამშრომლობით და ადგილობრივი მწარმოებლების ჩართულობით იგეგმება პარტნიორული პროექტების განხორციელება, კერძოდ ბიზნეს განვითარების და ტურიზმის ხელშემწყობი ცენტრის ეზოში პერმანენტული ადგილობრივი პროდუქციის ფესტივალებისა და გამოფენა- გაყიდვების მოწყობა, კერძო სექტორთან შეთანხმება მიღწეულია საჯარო განხილვების მიმდინარეობისას. |
| პროექტის მდგრადობა | *გთხოვთ, მიუთითოთ მოვლა-პატრონობისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების წყარო(ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორი, სხვა):*<br>პროექტის მედეგობისთვის ინფრასტრუქტურული სამუშაოების საბოლოო მიღება ჩაბარება განხორციელდება კონტრაქტორის (სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელი) მიერ წარმოდგენილი, სამშენებლო პროექტთან, მოქმედ სამშენებლო ნორმებთან და წესებთან შესაბამისობის შესახებ, აკრედიტირებული ორგანიზაციის მიერ,მომზადებულიექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.<br>*პროექტით რეაბილიტირებული შენობის მდგრადობას, საგარანტიოვადის, 2 წლის პერიოდში უზრუნველყოფს კონტრაქტორი( სამუშაოების განმახორციელებელი) ორგანიზაცია(აღნიშნულის, უზრუნველსაყოფად მოხდება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2,5 %-ის დაკავება საგარანტიო ვადის გასვლამდე),თ ხოლო შემდგომისაექსპლოატაციო ვარგისიანობის შენარჩუნებას მოახდენს მუნიციპალიტეტის ა(იპ)ი, და შესაბამისი ხარჯები გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.*<br>*ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება ბიზნეს განვითარების ტურისტული ხელშეწყობის ცენტრის აღჭურვის და ოპერირების მიმდინარე ხარჯები .*<br>*ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობის პარალელურად შემუშავდება და სათანადო წესით დამტკიცდებაახალი და არსებული ბიზნესის სტიმულირების პროგრამა, რომლის* |

| | |
|---|---|
| | *შესაბამისადაც გამოცხადებული კონკურსის საფუძველზეცსტარტაპერებს და მოქმედ მეწარმეებს უსასყიდლო სარგებლობის უფლებით 2 წლის ვადით და შემდგომი სამი წლის ვადით შეღავათიანი სარგებლობის უფლებით გადაეცემათ საწარმოო-საოფისე სივრცეები, ბიზნეს ხელშემწყობი სერვისების განსათავსებელი ფართები, ხელნაკეთი და ტრადიციული რეწვის პროდუქციის სარეალიზაციო ფართები, მიმდინარე ხარჯები ხარჯები დაიფარება მოსარგებლეთა მიერ.* |

3. განხორციელება და დაფინანსება

| | |
|---|---|
| პროექტის მომზადების სტატუსი | *გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია პროექტის მომზადების სტატუსის შესახებ. გთხოვთ, მიუთითოთ მომზადებულია თუ არა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და შესაბამისი დადებითი საექსპერტო დასკვნა*<br>(აღნიშნული ველის შევსებამდე დარწმუნდით, რომ გაქვთ: ა) პროექტის ტექნიკური გეგმა (მყარი ინფრასტრუქტურული პროექტის შემთხვევაში); ბ) დეტალურად ჩაშლილი ბიუჯეტი; გ) გარემოზე ზემოქმედების შეფასების კვლევა (საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილ შემთხვევებში) დ) ექსპერტის ოფიციალური დასკვნა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესახებ (თუ მოთხოვნილია); ე) მოსახლეობასთან და დაინტერესებულ მხარეებთან საკონსულტაციო შეხვედრის ჩანაწერები.<br><br>მოკლედ აღწერეთ ზემოხსენებული დოკუმენტების შინაარსი და მიუთითეთ ინფორმაცია მათი შემუშავების პროცესზე.<br>საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტი ხელმოწერილი უნდა იყოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენელის მიერ)<br>*პროექტის განსახორციელებლად ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის დაკვეთით მომზადებულია ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიზნეს განვითარების და ტურიზმის მომსახურების ცენტრის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია-ტექნიკური გეგმა და ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ დეტალურად ჩაშლილი ბიუჯეტი,;*<br>*აკრედიტირებული საპროექტო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დადებითი საექსპერტო დასკვნა;*<br>*მერის ბრძანებით შექმნილი შესაბამისი მუდმივმოქმედი კომისიის მერ განხორციელდა დოკუმენტაციის ტექნიკურ დავალებასთან შესაბამისობის დადგენა და უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილია მიღება-ჩაბარების აქტი;*<br>*პროექტის შესახებ საკონსულტაციო შეხვედრები და საჯარო განხილვები ჩაატარდა სამიზნე ჯგუფებთან.* პროექტის განხორციელებაზე მათი გავლენისა და დაინტერესების გათვალისწინებით, 4 შეხვედრა ჩატარდა მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან სხვადასხვა ეკონომიკური სექტორების მიხედვით შერჩეულ ფოკუს ჯგუფებთან. 1 შეხვედრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლებთან, 2 შეხვედრა სოფელ ვარციხის და მიდებარე დასახლებების მოსახლეობასთნ.<br><br>დგანხილვის პროცესში განიხლული იქნა კერძო სექტორის საჭიროებები და პროექტის გავლენა ადგილობრივი ბიზნესის განვიტარებაზე. ამასთან მ ომავალი სექტორებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები,გამოხატეს დაინტერესება, შემდგომი თანამშრომლობისდა პროექტით სარგებლობის სურვილი. იდეების დონეზე მიღწეული იქნა შეთანხმება გარკვეულ პარტნიორულ ურთიერთობებზეც. კერძოდ პროექტის განხორციელების შემდგემ ბიზნეს განვითარების და ტურიზმის მომსახურების ცენტრის ეზოში ადგილობრივი წარმოებული პროდუქციის პერმანენტული ფესტივალების, გამოფენა- გაყიდვების მოწყობაზე. |
| | *გთხოვთ, მიუთითოთ არსებობს თუ არა პროექტის განხორციელების თაობაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება პროექტის მოწონების და შემდგომი მსვლელობის მისაცემად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე: ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2020 წლის 25 ივნისს N განკარგულების სახით მიღებულია გადაწყვეტილება „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისთვის, საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ 2020 წლის 19 ივნისს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში საპროექტო განაცხადის - "ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბიზნესის განვითარებისა* |

| | |
|---|---|
| | **და ტურიზმის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა“ წარსადგენად თანხმობის მიცემის შესახებ** |
| | *პროექტთან ერთად წარდგენილი დოკუმენტების წუსხა (ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შესაბამისი დადებითი საექსპერტო დასკვნით, საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების ხელმოწერილი აქტის ასლი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება მოწონების თაობაზე, მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის დოკუმენტი, ა.შ.):* (განაცხადის ფორმას თან დაურთეთ ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი და ჩამოთვალეთ მოცემულ ველში. მაგალითად, დანართი 1 - საპროექტო დოკუმენტი)<br><br>***დანართი 2.*** **აქტივობების ბიუჯეტი და დროის განრიგი**<br>***დანართი 3. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცი;***<br>***დანართი 4.საექსპერტო დასკვნა;***<br>***დანართი 5.მიღება-ჩაბარების აქტი;***<br>***დანართი 6, საკრებულოს განკარგულება საპროექტო განაცხადის შესახებ;***<br>***დანართი 7. შეხვედრების ოქმი***<br>***დანართი 8. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა***<br>***დანართი 9. საკრებულოს განკარგულება ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შესახებ***<br>***დანართი 10. საჯარო შეხვედრები შეხვედრების ოქმები***<br>***დანართი 11. საჯარო შეხვედრების ფოტო მასალა*** |
| **დროის განრიგი** | *გთხოვთ მიუთითეთ პროექტი ერთწლიანია თუ მრავალწლიანი:**ერთწლიანი*** |
| | *გთხოვთ მიუთითეთ კონტრაქტორთან ხელშეკრულების გაფორმების დაგეგმილი თარიღი (თვე): 08/2020* |
| | *გთხოვთ მიუთითეთ პროექტის დასრულების დაგეგმილი თარიღი:31/12/2020* |
| | *გთხოვთ, დანართ 2-ში წარმოადგინოთ განხორციელების დეტალური გეგმა აქტივობების დონეზე (გრანტის დიაგრამა): თან ერთვის დანართი N1 სახით* |
| **პროექტის სავარაუდო ბიუჯეტი და მოთხოვნილი გრანტი (ლარი)** | *გთხოვთ, დეტალურად აღწეროთ, თუ როგორ იქნება უზრუნველყოფილი თანადაფინანსება. არის თუ არა ეს ფინანსური სახსრები უკვე გამოყოფილი გრანტის მიმღების ბიუჯეტში?*<br><br>*გთხოვთ, შეავსოთ დანართი 2 - აქტივობების ბიუჯეტი:* |
| | *პროექტის მთლიანი ღირებულება:* ***993993,77 ლარი*** |
| | *მოთხოვნილი გრანტის მთლიანი ღირებულება:***970 000 ლარი** |
| | *თანადაფინანსების ოდენობა:***23 993.77** |
| | *სხვა წყაროებიდან დაფინანსების ოდენობა:-პროექტი არ ფინანსდება სხვა წყაროებიდან* |
| **ხარჯების კატეგორიები** | *გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია დანახარჯების კატეგორიების შესახებ, დანართი N2 გამოყენებით:**დანახარჯების კატეგორიები ს შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით, გთხოვთ იხილოთდანართი N 2 .*** |
| **რისკების მართვა** | *გთხოვთ, აღწეროთ ის პოტენციური შიდა და გარე რისკები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ პროექტის განხორციელებაზე:*<br>***შიდა რისკები:***<br>1. ***შესყიდვის პროცედურების გახანგრძლივება -არშემდგარი ტენდერი, პრედენდენტის მიერ შემოთავაზებული დაბალი ფასი, პრედენდენტის დისკვალიფიკაცია, წარმოდგენილი წინადადების ტექნიკური დოკუმენტაციასთან შეუსაბამობა, ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის დაუკმაყოფილებლობა.***<br>2. ***სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების არაჯეროვანი შესრულება*** |

| | |
|---|---|
| | *გარე რისკები:*<br><br>*1.ფორსმაჟორი: არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები, პანდემიური პროცესების გამწვავება..*<br>*2. ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილება, ინფლაცია* |
| | *გთხოვთ, აღწეროთ ამ რისკების შემცირების/მართვის ღონისძიებები:*<br>*ღონისძიებები:*<br>*1.წინასწარ ბაზრის კვლევის განხორციელება, პოტენციური შემსრულებების ინფორმირება, სხვადასხვა საინფორმაციო არხების გამოყენება. სატენდერო დოკუმენტაციაში დამზღვევი ღონისძიების სახით პოტენციური მომწოდებლებისთვის ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების მოთხოვნის ჩადება, გამარჯვებულის გამოცდილების და დოკუმენტაციის შესწავლა, უწყვეტი მონიტორინგის განხორციელება...*<br>*2.სატენდერო დოკუმენტაციაში პრეტენდენტებისათვის პოტენციური შმსრულებლებისათვის სათანადო დოკუმენტაციისა და კვალიფიკაციის მოთხოვნა, სამშენებლო -სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის ყოველდღიური შიდა გა გარე (კონტრაქტორი საზედამხედველო კომპანია) ზედამხედველობა -მონიტორინგი .შრომის სწორი ორგანიზაციის კონტროლი.* |

4. კულტურულ, გარემოსდაცვითი და სოციალურ პრინციპებთან შესაბამისობა

| | |
|---|---|
| შესაბამისობა ანტი დისკრიმინაციულ პრინციპთან | *გთხოვთ, აღწეროთ, რა ზემოქმედება ექნება პროექტს სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და გენდერულ ჭრილში თანასწორ მოპყრობაზე:* (დაასაბუთეთ თქვენი პროექტის შესაბამსიობა ანტი დისკრიმინაციულ პრინციპთან. ჩამოთვალეთ პროექტის კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს სამართლიანობასა და თანასწორობას. (მაგალითად, შშმ პირებზე, ხანდაზმულებზე ადაპტირებული ინფრასტრუქტურა, და ა.შ.))<br>*პროექტი განხორციელდება ანტი დისკრიმინაციული პრინციპების დაცვით , კერძოდ შენობა აღურვილი იქნება შშმ პირთა გადაადგილებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურით, მოეწყობა პანდუსები და ლიფტი, ლიფტის ღილაკებზე დატანილი იქნება ბრაივისშრივტი.* |
| გარემოზე ზემოქმედება | *გთხოვთ, აღწეროთ, თუ რა გავლენას მოახდენს პროექტების განხორციელება გარემოზე:* (განაცხადის ფორმას თან დაურთეთ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი (საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილ შემთხვევებში))<br>*პროექტის განხორცილება იქონიებს პოზიტიურ გავლენას გარემოზე, რადგანხშირად ხდება მიმდებარე ტერიტორიის დაბინზურებაარაბიოდეგრადირებადი ნარჩენებით. პროექტის განხორციელებით. პროექტის განხორციელებით შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდება სპეციალური კონტეინერები, გაშენდება მრავალწლიანი ნარგავები...* |
| პარტნიორობის პრინციპის განხორციელება | *გთხოვთ, აღწეროთ პროექტის ფარგლებში როგორ იქნება დაცული პარტნიორობის პრინციპი, როგორ არიან პარტნიორები ჩართულნი პროექტის მომზადებასა და განხორციელებაში:* (იგულისხმება მონაწილეობითი მიდგომა (მაგალითად, ინფორმაცია პროექტის განაცხადზე გამართული საჯარო სხდომების თაობაზე თარიღის და მონაწილეთა რაოდენობის მითითებით, შეხვედრები ადგილობრივ აქტორებთან, კერძო სექტორთან, ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფებთან, სათემო ორგანიზაციებთან, სამეზობლო ამხანაგობებთან და ა.შ.<br><br>*პროექტი მომზადებულია პარტნიორული პრნციპაბის დაცვით. ჩატარდა საჯარო შეხვედრები საპროექტო განაცხადის გასაცნობად სულ 6 შეხვედრა, არსებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, შეხვედრები ჩატარდა მცირე ჯგუფებთან (10 კაცამდე) სულ 6 შეხვედრა : საოჯახო სასტუმროების წარმომადგენლებთან და საირმის კერძო მეწარმეთა ასოციაციის წევრებთან, მეღვინეობის გილდიას წევრებთან, მეფუტკრეებთან, მოსახლეობასთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან.*<br>*შეხვედრების მიმდინარეობისას გამოიკვეთა პროექტთან დაკავშირებული შემდგომი პარტნიორობის სურვილი და დაისახა სამომავლო პარტნიორული ქმედებები.*<br>*პარტნიორობის პრინციპი დაცული იქნება პროექტის განხორციელების პროცესშიც, კერძო სექტორის წარმომადგენლები ჩართული იქნებიან აქტივობების მიმდინარეობის მონიტორინგის პროცესში.* *გადასახედია* |

თარიღი:

ხელმოწერა (მთავარი) განმცხადებლის სახელით: